



ცენტრო

საერთაშორისო ადვოკატი
და დემოკრატია



საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები

27 ოქტომბერი 2013 წელი

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველთათვის საარჩევნო პროცესების გამარტივებისა და ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. შესავალი.....	3
2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მონაწილეობა	4
2.1. საარჩევნო უბნის ადაპტირება	5
2.2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლება/ინფორმირება	7
2.3. კენჭისყრის დღეს, საარჩევნო უბნებზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გადაადგილება, მობილური ჯგუფის საშუალებით	9
2.4. სტატისტიკური მონაცემები	10

1. შესავალი

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) აქტიურად მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნაზე. ცესკომ არაერთი ღონისძიება განახორციელა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საარჩევნო პროცესებში ჩართვის მიზნით.

2012 წელს ცესკოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველთათვის საარჩევნო პროცესების გამარტივებისა და ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა 2012-2014 წლების სამოქმედო გეგმა. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს ცესკოს კოორდინაციისა და მართვის დეპარტამენტის უფროსი. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ცესკოს ორი წევრი და ადმინისტრაციის თანამშრომლები, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები, კერძოდ:

- სახალხო დამცველის ოფისი;
- ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში;
- საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES);
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- „კოალიცია სამოქალაქო განვითარებისთვის“;
- საქართველოს ყრუთა კავშირი;
- საქართველოს უსინათლოთა კავშირი;
- კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“;
- სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი.

2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მონაწილეობა

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, ცესკომ იხელმძღვანელა 2012 წელს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებს მიხედვით, იდენტიფიცირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მონაცემთა ბაზებით. კერძოდ: საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან, მოწოდებული მონაცემთა ბაზების საფუძველზე, განხორციელდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებების დადგენა, რომლის შესაბამისად გადამოწმებულ იქნა 8 523 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველი, მათ შორის: ეტლით მოსარგებლე - 1902, სმენადაქვეითებული - 1829, უსინათლო - 4792. *(იხ. გრაფა I)*

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა არჩევნებში მონაწილეობისათვის დაიგეგმა შემდეგი ღონისძიებები:

- 1.1. საარჩევნო უბნის ადაპტირება;
- 1.2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა განათლება/ინფორმირება;
- 1.3. კენჭისყრის დღეს, საარჩევნო უბნებზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მობილური ჯგუფის საშუალებით გადაადგილება;
- 1.4. სტატისტიკური მონაცემები.

მიმდინარე წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ცესკოს კონტაქტ-ცენტრში ოპერატორად დასაქმებულები იყვნენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 3 პირი. ცენტრალური საარჩევნო კომისია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმებას უზრუნველყოფს 2012 წლიდან.

2.1. საარჩევნო უბნის ადაპტირება

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის საარჩევნო უბნების ადაპტირების მიზნით, განახორციელა შემდეგი პროექტები:

ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებიდან და საოლქო საარჩევნო კომისიებიდან (73 ოლქი) გამოითხოვა ინფორმაცია ადაპტირებული უბნების შესახებ. ინფორმაცია დამუშავდა საოლქო საარჩევნო კომისიებში შემავალი უბნების მიხედვით (იხ. გრაფა II-III).

ქ. თბილისის მერიასა და მერიასთან არსებული საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსთან თანამშრომლობით, თბილისის 7 საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალ უბნებზე მოეწყო 10 მუდმივი პანდუსი (იხ. გრაფა IV).

არასამთავრობო ორგანიზაციამ კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ ცესკოსთან არსებული სასწავლო ცენტრის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში უზრუნველყო 4 პორტატული პანდუსის, ხოლო საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ფინანსური მხარდაჭერით - 5 პორტატული პანდუსის დამზადება. ასევე, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას 2012 წელს გადმოეცა 4 პორტატული პანდუსი. 13 პორტატული პანდუსიდან თბილისში განთავსდა 9, ხოლო 4 პანდუსი 3 საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალ საარჩევნო უბნებზე (იხ. გრაფა V).

დამზადდა 600 ხმის მიცემის სპეციალური კაბინა, ხოლო 2012 წელს - 200 კაბინა. 800 ხმის მიცემის სპეციალური კაბინა გადანაწილდა თბილისსა და რეგიონებში იდენტიფიცირებულ საოლქო საარჩევნო კომისიებში შემავალ საარჩევნო უბნებზე (იხ. გრაფა VI-VII).

სმენადაქვეითებული ამომრჩევლები

სმენადაქვეითებული ამომრჩევლებისათვის 600 საარჩევნო უბანზე გავრცელდა კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი ვიდეო-რგოლი სურდოთარგმანის თანხლებით (ჟესტური ენა). უბანზე მისულ სმენადაქვეითებულ ამომრჩევლებს საჭიროების შემთხვევაში, საშუალება ჰქონდათ პორტატული კომპიუტერების გამოყენებით, ენახათ აღნიშნული ვიდეო-რგოლი.

უსინათლო ამომრჩევლები

უსინათლო ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობისთვის ცესკო უზრუნველყოფდა საარჩევნო ბიულეტენის ბრაილის შრიფტით ბეჭდვას. გამონაკლისი იყო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები, როდესაც უსინათლოთა კავშირის თხოვნით, ცესკო-მ არ

დაბეჭდა ბიულეტენები ბრაილის შრიფტით, ვინაიდან მათი განცხადებით ირღვეოდა ხმის მიცემის ფარულობა.

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მხედველობის გამო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლებისთვის ცესკო-მ უზრუნველყო ისეთი ტექნოლოგიების გამოყენება, რომლითაც უსინათლო ამომრჩევლებს საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსების საშუალება მიეცა¹. არჩევანის გაკეთება შეეძლოთ როგორც ბრაილის მცოდნე უსინათლო ამომრჩევლებს, ასევე იმ უსინათლო ამომრჩევლებსაც, რომლებიც ვერ კითხულობენ ბრაილს.

საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა დამზადდა მუყაოს სპეციალური ქაღალდისგან, რომელიც ორად იყო დაკეცილი. საარჩევნო ბიულეტენის შესაბამისად, არჩევნებში მონაწილე კანდიდატების რიგითი ნომრები ზუსტად ემთხვეოდა ჩარჩოზე ამოჭრილ წრეებს. ყოველი წრიული ჭრილის გასწვრივ რელიეფურად მითითებული იყო ციფრი ბრაილის შრიფტით და ციფრი არაბული, ანუ ბრტყელი შრიფტით. საარჩევნო უბნის რეგისტრატორი კომისიის წევრი, მოთხოვნის შემთხვევაში, საარჩევნო ბიულეტენს თავად ათავსებდა სპეციალურ ჩარჩო/ფორმაში და აწვდიდა უსინათლო ამომრჩეველს. საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა გავრცელდა 73 საოლქო საარჩევნო კომისიის 3 655 საარჩევნო უბანზე.

საოლქო საარჩევნო კომისიებიდან მიღებული დოკუმენტების საფუძველზე, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 160 უსინათლო ამომრჩეველმა, აქედან საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა გამოიყენა - 52 უსინათლო ამომრჩეველმა.

¹ ცესკოს 2013 წლის 17 ოქტომბრის დადგენილება ¹ 46/2013 და 2013 წლის 20 ოქტომბრის განკარგულება ¹ 469/2013.

2.2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლება/ინფორმირება

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა განათლების, ინფორმირებისა და არჩევნებში მათი სრულფასოვანი ჩართულობის მიზნით, ცესკოსთან არსებული - საჯარო სამართლის იურიდიული პირი საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა არასამთავრობო ორგანიზაცია კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“.

პროექტის „თანაბარი საარჩევნო გარემო-პირობების შექმნის ხელშეწყობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის“ ფარგლებში, საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით გაიმართა საინფორმაციო/საგანმანათლებლო სემინარები და შეხვედრები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლებსა და სტუდენტებთან თბილისში, თელავში, გორში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ბათუმში. დამზადდა საინფორმაციო ვიდეო-რგოლი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობისა და კენჭისყრის დღეს მობილური ჯგუფის სერვისით სარგებლობის შესახებ.

თბილისში, თელავში, გორში, ქუთაისში, ზუგდიდში, ოზურგეთში, ფოთსა და ბათუმში არჩევნებამდე 2 დღით ადრე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მონაწილეობით გავრცელდა საინფორმაციო ფლარები „მე მივდივარ არჩევნებზე“, რაც მიზნად ისახავდა მოქალაქეების გააქტიურებას.

მსგავსი პროექტი კოალიციამ „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) დაფინანსებით, განახორციელა შემდეგ ქალაქებში: თბილისი, ქუთაისი, საჩხერე, ოზურგეთი, ჩოხატაური, სენაკი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.cesko.ge) განთავსდა ბანერი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები“. ბანერის საშუალებით ყველა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა ინფორმაციას ცესკოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ დაგეგმილი აქტივობების, საკანონმდებლო რეგულაციებისა და სტატისტიკური მონაცემების შესახებ. ბანერი ასევე მოიცავს დაარქივებულ საჯარო დოკუმენტაციას - ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშებს 2008, 2010, 2012, 2013 წლების არჩევნებისათვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთათვის საარჩევნო პროცესების გამარტივებისა და ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული საქმიანობების შესახებ.

ცესკოს კონტაქტ-ცენტრის ოპერატორებმა ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებს ტელეფონის საშუალებით მიაწოდეს დეტალური ინფორმაცია მათი უფლებებისა და არჩევნებში მონაწილეობის შესახებ. უსინათლო ამომრჩევლებმა მიიღეს ინფორმაცია საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმის აღწერისა და გამოყენების შესახებ, ხოლო სმენადაქვეითებულ ამომრჩევლებს მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) საშუალებით მიეწოდა ინფორმაცია ცესკოს ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.cesko.ge) განთავსებული საარჩევნო პროცედურების ამსახველი ვიდეო-რგოლის შესახებ სურდოთარგმანის

თანხლებით (ჟესტური ენა) და საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკით დადგენილი ვადების მიხედვით გადასატანი საარჩევნო ყუთის მოთხოვნის შესახებ *(იხ. გრაფა VIII-IX)*.

ასევე, ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებს გაეგზავნათ მოკლე ტექსტური შეტყობინებები (SMS) საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკით დადგენილი საარჩევნო უბნის დროებითი/მარტივი ადაპტაციის მოთხოვნის, ადაპტირებული უბნების, მობილური ჯგუფების მომსახურებისა და საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკით დადგენილი ვადების მიხედვით გადასატანი საარჩევნო ყუთის მოთხოვნის შესახებ.

სტუდენტების სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით, ქ. თბილისის სამედიცინო, ქ. გორის, ქ. თელავის, ქ. ქუთაისისა და ქ. ბათუმის უნივერსიტეტებში გაიმართა სემინარები. სემინარის მიზანი იყო სტუდენტების ინფორმირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა არჩევნებში მონაწილეობის შესახებ. სემინარზე მოეწყო იმიტირებული კენჭისყრა სტუდენტების მონაწილეობით, რომლებმაც განასახიერეს ეტლით მოსარგებლე და უსინათლო ამომრჩევლი.

ცესკომ მონაწილეობა მიიღო სოლიდარობის აქციაში „დამოუკიდებელი პიროვნება - თავისუფალი არჩევანი“, რომლის მიზანი საარჩევნო პროცესში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ჩართულობისთვის მოქალაქეთა გააქტიურება იყო. აქციის მონაწილეებმა მოსახლეობას სპეციალური ფლაერები დაურიგეს, რითაც მათ 2013 წლის 27 ოქტომბრის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობისკენ მოუწოდებდნენ.

ცესკოს მიერ დამზადებული 11 საინფორმაციო/სარეკლამო რგოლი საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში განთავსებული იყო სმენადაქვეითებული ამომრჩევლებისთვის სურდოთარგმანის თანხლებით. ასევე, კვალიფიციურ სუბიექტებს შორის გამართული 2 სატელევიზო დებატი პირდაპირი ეთერში გადაიდა ჟესტურ ენაზე. აღნიშნული რგოლები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისათვის განთავსდა რეგიონული ტელევიზიების ეთერში (*ახალციხე - ტელეკომპანია „მე-9 არხი“; ახალქალაქი - ტელეკომპანია „ატვ 12“; ნინოწმინდა - ტელეკომპანია „ფარვანა“; ბოლნისი - ტელეკომპანია „ბოლნელი“; რუსთავი - „ქვემო ქართლის ტელ-რადიო კომპანია“ (რუსთავი, მარნეული, გარდაბანი); მარნეული - ტელეკომპანია „მარნეული TV“*).

უსინათლო ამომრჩევლებისათვის არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის შესახებ, მომზადებული საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმის გამოყენების საინფორმაციო აუდიო/ვიდეო რგოლი განთავსდა ტელე/რადიო მაუწყებლების ეთერში (*საზოგადოებრივი მაუწყებელი, ტელეკომპანია „რუსთავი 2“, ტელეკომპანია „იმედი“, ტელეკომპანია „კავკასია“, ტელეკომპანია „მანესტრო“, ტელეკომპანია „ტაბულა“, ტელეკომპანია „აჭარა“, ტელეკომპანია „პალიტრა ტვ“, საზოგადოებრივი რადიო, რადიო „იმედი“, რადიო „პალიტრა“, რადიო „მწვანე ტალღა“, „პირველი რადიო“*).

2.3. კენჭისყრის დღეს, საარჩევნო უბნებზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გადაადგილება, მობილური ჯგუფის საშუალებით

კენჭისყრის დღეს, კოალიციამ „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ უზრუნველყო მობილური ჯგუფებისა და ადაპტირებული ტრასნპორტის საშუალებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლების საარჩევნო უბნამდე გადაადგილება. მობილური ჯგუფები შეიქმნა საქართველოს შემდეგ ქალაქებში:


- ქ. თბილისი - 4 მობილური ჯგუფი;
- ქ. თელავი - 1 მობილური ჯგუფი;
- ქ. გორი - 1 მობილური ჯგუფი.
- ქ. ქუთაისი - 2 მობილური ჯგუფი;
- ქ. ზუგდიდი - 1 მობილური ჯგუფი;
- ქ. ბათუმი - 1 მობილური ჯგუფი.

ქ. გორში, ქ. თელავში, ქ. ქუთაისში, ქ. ზუგდიდსა და ქ. ბათუმში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველთა, უბნამდე გადაადგილება მობილური ჯგუფების საშუალებით, განხორციელდა ცესკოსთან არსებული სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმების და სწავლების ცენტრის, ხოლო ქ. თბილისში - საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ფინანსური მხარდაჭერით.


კენჭისყრის დღეს აღნიშნული სერვისით ისარგებლა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 79 ამომრჩეველმა (იხ. გრაფა X).

2.4. სტატისტიკური მონაცემები


საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან, მოწოდებული მონაცემთა ბაზების საფუძველზე, განხორციელდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებების დადგენა, რომლის შესაბამისად გადამოწმებულ იქნა 8 523 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველი (გრაფა I).




თბილისის საოლქო საარჩევნო კომისიებში შემავალი ადაპტირებული საარჩევნო უბნების რაოდენობამ შეადგინა - 127 საარჩევნო უბანი (გრაფა II).




რეგიონების მიხედვით, საოლქო საარჩევნო კომისიებში შემავალი ადაპტირებული საარჩევნო უბნების რაოდენობამ შეადგინა - 175 საარჩევნო უბანი (გრაფა III).




თბილისის 7 საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალ უბნებზე მოწყობილი 10 მუდმივი პანდუსი (გრაფა IV).




შენიშვნა: საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისთვის, ქ. თბილისის მერიასთან თანამშრომლობით, თბილისის ზოგიერთ საოლქო საარჩევნო კომისიებში შემავალ უბნებზე მოეწყო 15 მუდმივი პანდუსი, კერძოდ:




ზოგიერთ საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალ 13 საარჩევნო უბანზე განთავსებული პორტატული პანდუსები (გრაფა V).




შენიშვნა: საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისთვის, 4 პორტატული პანდუსი გადანაწილდა სხვადასხვა საარჩევნო უბნებზე. კერძოდ:




თბილისის საოლქო საარჩევნო კომისიების მიხედვით, განაწილებული ხმის მიცემის სპეციალური კაბინეტის რაოდენობამ შეადგინა - 282 კაბინა (გრაფა VI).




რეგიონების საოლქო საარჩევნო კომისიების მიხედვით, განაწილებული ხმის მიცემის სპეციალური კაბინების რაოდენობამ შეადგინა - 518 კაბინა (გრაფა VII).



მოკლე ტექსტური შესტყობინების (SMS) საშუალებით ინფორმირებული ეტლით მოსარგებლე და სმენადაქვეითებულ ამომრჩეველთა რაოდენობამ შეადგინა 4922 ამომრჩეველი, მათ შორის (გრაფა VIII):



სატელეფონო ზარის საშუალებით ინფორმირებული ეტლით მოსარგებლე და უსინათლო ამომრჩეველთა რაოდენობამ შეადგინა - 2367 ამომრჩეველი, მათ შორის(გრაფა IX):



კენჭისყრის დღეს, ქ. თბილისში, თელავში, გორში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ბათუმში საარჩევნო უბნებზე მობილური ჯგუფების საშუალებით გადაადგილებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველთა რაოდენობამ შეადგინა - 79 ამომრჩეველი (გრაფა X).

